

რას ითხოვენ ქალი ამომრჩევლები?! - ქალების ნამდვილი საჭიროებები და წუხილები

ქრისტინე ჟღენტი, მკვლევარი

ქალ ამომრჩეველთა წინაშე დაგროვილ მრავალ გამოწვევას შორის, წინამდებარე სტატიაში მხოლოდ მცირე ნაწილზე ვისაუბრებთ. ქალთა საჭიროებების შესახებ საქართველოში ჩატარებულ კვლევებში ძირითადად სოციალური და ეკონომიკური საკითხები დომინირებს. მართალია, ქალთა წუხილები ბევრად ფართო სპექტრს მოიცავს, თუმცა მოცემული დოკუმენტი იმ კონკრეტული თემების გამოვლენას ემსახურება, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ქალთა ცალკეული ჯგუფების უთანასწორო მდგომარეობას განსაზღვრავს. ამავე დროს, ანალიზის მიზანია, გენდერული პრიზმიდან შეხედოს სოციალურ გამოწვევებს, რათა შესაძლებელი გახდეს განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილებების უკეთ აღქმა, პრობლემების სწორად შეფასება და ნაბიჯების დაგეგმვა რეალური ცვლილებებისთვის.

ქალები ბევრს საუბრობენ შემაფერხებელ ბარიერებზე, ისევე როგორც, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მონაცემები მეტყველებს ქალთა სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკაში მთელი რიგი სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე. გაჟღერებულმა ხმებმა და რაოდენობრივი კვლევების მაჩვენებლებმა, საშუალება მოგვცა შეგვეჩინა ქალთა ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ პოლიტიკურ მხარდაჭერას და რომელთა ხილვადობა კვლავაც არასაკმარისია პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამრიგად, დოკუმენტი აერთიანებს ახალგაზრდა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლგბტკი თემის წარმომადგენელი, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, ემიგრანტი, კონფლიქტით დაზარალებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არაფორმალურ სექტორში დასაქმებული (გარემოვაჭრე) ქალების საჭიროებებს. საჭიროებებს, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალფეროვანია და ხარისხობრივად განსხვავებული სიმწვავით ვლინდება ქალაქში, სოფელსა თუ მთაში მცხოვრები ქალებისთვის.

საქართველოს მოსახლეობის 52%-ს და საარჩევნო სიებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 54%-ს ქალები შეადგენენ.¹ სწორედ ქალთა ჩართულობამ და ხმების მობილიზებამ შეიძლება შეიძინოს კრიტიკული მნიშვნელობა გარდამტეხი ცვლილებებისთვის. ამ დროს კი, ქალები ქვეყანაში აუნაზღაურებელ საშინაო შრომას კაცებზე სამჯერ მეტ დროს უთმობენ და თან, ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელსაც ქმნიან.² საერთო სარგებლისთვის გაწეულ შრომაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) 2022 წლის მონაცემებით, „ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან - 68.3%-ია“.³ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს მოსახლეობის 66 პროცენტი ჩართულია აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში. ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება ქალებისა (88.3 პროცენტი) და კაცებისათვის (39.6 პროცენტი). საოჯახო საქმიანობაში მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია სოფლად მცხოვრებ ქალებში (90.3 პროცენტი). საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში 2.1 საათს ხარჯავს აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, თუმცა გენდერული სხვაობა საკმაოდ დიდია. ყველა ტიპის დასახლებაში კაცები ამ აქტივობებზე დღეში 0.7 საათს ხარჯავენ, ხოლო ქალების მიერ დახარჯული დრო 5-ჯერ მეტია სოფლებში (3.6 საათი

¹ ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2020. „იკითხე პოლიტიკა“ ვინ არის ქალი ამომრჩეველი? <https://feminism-boell.org/ka/2020/11/19/vin-aris-kali-amomrcheveli>

² გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა საქართველოში. მოკლე მიმოხილვა. გვ. 2.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. ქალი და კაცი საქართველოში. გვ. 76.

დღეში) და 4.7- გერ მეტია თბილისსა და სხვა ქალაქებში (3.2 საათი დღეში)⁴ ქალაქებსა და რეგიონებს შორის დისბალანსის კვლევისას, განსხვავება ასევე თვალნათელია სიღარიბის მაჩვენებლების შეფასებისას, სადაც უთანასწორობა კიდევ უფრო მეტად შესამჩნევია, რადგანაც ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო საბაზო პირობები, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ქალაქისგან განსხვავებით, რაც რეგიონებსა თუ სოფლებში ბევრად დაბალია.

სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით, „სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილმა 2022 წელს - 15.6%, ხოლო 2023 წელს - 11.8% შეადგინა“⁵ „სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი სქესის მიხედვით კი ასეთია - 11.5% ქალი, 12.2% კაცი“⁶ საქსტატის მონაცემებით, „2023 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 5.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.6 პროცენტს გაუტოლდა“⁷ შემოსავლების თვალსაზრისით, 2023 წელს „მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქალაქ-სოფლის მიხედვით (მილიონი ლარი) შემდეგია: ქალაქი - 1,171.2; სოფელი - 632.5“⁸ არსებული მონაცემები უკვე ქმნის მოლოდინს, რომ ქალაქებთან შედარებით, სოფელსა და რეგიონებში მცხოვრები ქალი ამომრჩევლებისთვის ცხოვრება მეტი გამოწვევებითაა დატვირთული.

საარჩევნო ყუთთან მდგომი ქალი ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიისთვის ხმის მიცემისას, საარჩევნო სუბიექტს, ამავე დროს, აკისრებს ვალდებულებას იმუშაოს ამომრჩეველთან, გააუღეროს მისი ხმა და ანგარიშვალდებული იყოს მის წინაშე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენდერულ პორტალზე ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების I ტურის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველების პროპორცია ასე გადანაწილდა⁹ - ქალები 49.48% (980092), კაცები 50.52% (1000552).¹⁰ II ტურის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველები - 51.43% ქალი (290931), 48.57% კაცი (274711).¹¹ არსებითი ცვლილებებისთვის ქალ ამომრჩეველთან მუშაობა უნდა გააქტიურდეს, რათა ქალთა ხმებმა შეიძინოს ის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც ქვეყნის უფრო უკეთეს, უფრო თანასწორ მომავალს სჭირდება.

ქალ ამომრჩეველთა მოლოდინები ერთგვარად გადაჯაჭვულია ქალ პოლიტიკოსთა საჭიროებებთან, ამაზე საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ინტერპარტიულ მანიფესტშიც ვკითხულობთ. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქალ ამომრჩეველებს მეტი მოლოდინი აქვთ ქალი პოლიტიკოსების მიმართ და პირველ რიგში, სწორედ მათგან მოელიან პრობლემური საკითხების მოგვარებას. შესაბამისად, ქალი პოლიტიკოსების ხილვადობის გაზრდასაც.¹² კავკასიის ბარომეტრის მონაცემებით, გამოკითხულთა 62% ემხრობა

⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში 2020-2021. გვ. 13-14.

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %.

⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %.

⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინი კოეფიციენტები. გვ. 1.

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქალაქ-სოფლის მიხედვით (მილიონი ლარი).

⁹ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველები - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ქალი და კაცი, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა. მთელი საქართველოს მასშტაბით ქალების აქტივობამ (ანუ არჩევნებში მონაწილე ქალი/კაცი ამომრჩეველების შეფარდება ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული შესაბამისი სქესის ქალი ან კაცი ამომრჩეველების საერთო რაოდენობასთან) შეადგინა 52.07%, კაცების - 61.4%. II ტურის მონაცემებით, ქალების აქტივობამ - 24.83%, კაცებისამ 28.36% შეადგინა.

¹⁰ ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). 2020. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები (I ტური). ამომრჩეველთა ერთიანი სია. https://genderstatistics.cec.gov.ge/ge/gender?tour_id=16&voters_list_category_ids%5B%5D=1

¹¹ ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). 2020. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები (II ტური). ამომრჩეველთა ერთიანი სია. https://genderstatistics.cec.gov.ge/ge/gender?tour_id=19&voters_list_category_ids%5B%5D=1

¹² საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2023. ინტერპარტიული მანიფესტი - ქალი ამომრჩეველის მოლოდინები და ქალი პოლიტიკოსების გამოწვევები: როგორ პასუხობენ პარტიები დაკვეთას?. გვ. 13.

პოლიტიკაში 50% ქალი, 50% კაცი - განაწილებას.¹³ ქალთა ხილვადობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგზე ვსაუბრობთ. დღეს კი, უმრავლესობის ხმები სათანადოდ არ ისმის.

უკანასკნელ პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით, არ უწყობს ხელს ქალ პოლიტიკოსთა ხილვადობის გაზრდას. სახალხო დამცველის შეფასებით, „გენდერული კვოტირების მექანიზმი არა ქალების მიმართ მინიჭებული პრივილეგია, არამედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის, სტერეოტიპებთან ბრძოლისა და საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია“...“ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია ქალების ხმა მკაფიოდ ისმოდეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა უწყებებში, რათა დღის წესრიგში იდგეს ქალთა საჭიროებები და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებები“.¹⁴ ამავე დროს, ეუთო/ოდირის მიერ გამოქვეყნებული დასკვნით, კვოტების გაუქმება საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, უკანდახევას წარმოადგენს, და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთოს ვალდებულებებს, რომლებიც მიმართულია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ.¹⁵

ქალები მთელი ქვეყნის მასშტაბით ელიან მოქმედებებს პოლიტიკოსების მხრიდან, რათა ესაუბრონ მათ, იმოქმედონ მათთან ერთად და მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. რეალური ცვლილებების მისაღწევად პოლიტიკური პროცესები დედაქალაქს უნდა გასცდეს, ქალი ამომრჩევლების ხმების გასაგებად პოლიტიკური დღის წესრიგის ფოკუსმა კი რეგიონებში გადაინაცვლოს.¹⁶

ქალთა ხმების პოლიტიკური პარტიებისთვის მისაწვდენად და წინამდებარე დოკუმენტის შესადგენად გამოვიყენეთ სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა და დამუშავდა ქალთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შესახებ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებული ავტორიტეტული კვლევები, ანგარიშები, პუბლიკაციები, თემატური სტატიები, მიმოხილვები და სტატისტიკური მონაცემები. მათ შორის, დამუშავდა სახალხო დამცველის ანგარიშები, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, კავკასიის ბარომეტრის, ცესკოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის სტატისტიკური მონაცემები, საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებზე მომუშავე არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევარების მიერ შემუშავებული კვლევები.

სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ქალთა რვა ჯგუფი, რომელთა შესახებ, გენდერულ ჭრილში გვეძლევა შესაძლებლობა ჯგუფის საჭიროებებზე მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი წარმოდგენა შევიქმნათ და გამოვყოთ ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა ქალთა კეთილდღეობისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

¹³ კავკასიის ბარომეტრი (Caucasusbarometer). 2023. NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი. <https://caucasusbarometer.org/ge/nm2023ge/BESTPRP/>

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველი. 2024. სახალხო დამცველის განცხადება გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით. <https://www.ombudsman.ge/geo/siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-genderuli-kvotirebis-gaukmebis-sheesakheb-initsiirebul-sakanonmdeblo-tsvlilebastan-dakavshirebit>

¹⁵ OSCE/ODIHR. 11 June 2024. Opinion on Two Organic Laws of Georgia Amending the Election Code and The law on Political Unions of Citizens in Relation to Gender Quotas https://legislationline.org/sites/default/files/2024-06/2024-06-20%20FINAL%20Urgent%20Opinion_Organic%20Laws%20Abolishing%20Gender%20Quotas_ENGLISH.pdf. გვ. 2.

¹⁶ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2023. ინტერპარტიული მანიფესტი - ქალი ამომრჩევლის მოლოდინები და ქალი პოლიტიკოსების გამოწვევები: როგორ პასუხობენ პარტიები დაკვეთას?. გვ. 17.

ახალგაზრდა ქალები

ახალგაზრდებზე ორიენტირებული პოლიტიკური დღის წესრიგის არარსებობა, ისევე როგორც საარჩევნო პროგრამებში ახალგაზრდული კომპონენტის სიმცირე, პოლიტიკურ პარტიებსა და ახალგაზრდებს შორის გაუცხოებისა და უნდობლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ახალგაზრდებთან საკომუნიკაციო პლატფორმების ნაკლებობა, პოლიტიკური პროცესებიდან ახალგაზრდების მონაწილეობის გამორიცხვა, მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური პარტიის განვითარებისა და ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობას. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის - *ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა* - შედეგებიდან ჩანს, რომ „*გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (36%) ფიქრობს, რომ მათი მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, მეოთხედზე მეტს (28%) კი ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს*“.¹⁷ განათლება, დასაქმება, გენდერულად სტერეოტიპული დამოკიდებულებების ცვლილებები, არაფორმალური სივრცეების ხელმისაწვდომობა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის წამყვანი თემებია.

გენდერული სტერეოტიპების შეცვლა

გენდერულ ჭრილში ახალგაზრდა ქალებს თვითრეალიზაციის გზაზე კვლავ დამატებით ბარიერებს უქმნის საზოგადოების სტერეოტიპული შეხედულებები. სწორედ თაობათა შორის განსხვავებული მიდგომები ახდენს ადამიანთა სტიგმატიზაციას, განსაკუთრებით, როდესაც ვსაუბრობთ უმცირესობების წარმომადგენლებსა და ქალების წინაშე არსებულ საკითხებზე. ახალგაზრდები საუბრობენ გენდერულად სტერეოტიპული აზროვნების ისეთი ლოგიკის გარდაქმნაზე, როდესაც, მაგალითად, პოლიტიკა ნაკლებად განიხილება ქალების საქმედ.¹⁸ გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდები ასახელებენ, გარკვეულწილად საზოგადოებაში არსებული პრობლემების ანარეკლია და წარმოქმნის გამჯდარი სტერეოტიპული წარმოდგენების შეცვლის, ახალგაზრდული ხედვების განვითარების, ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გარდაქმნის და ჩაკეტილი პოლიტიკური სტრუქტურების დეკონსტრუქციის დიდ სურვილს.¹⁹

განათლება

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის *ახალგაზრდულ მანიფესტში*, ახალგაზრდები საუბრობენ თანამედროვე განათლების მიღების არასაკმარის შესაძლებლობებზე. სკოლაში, უნივერსიტეტსა თუ არაფორმალური განათლების დაწესებულებებში მიღებული განათლების ხარისხზე, რომელიც მეტად უნდა იყოს მორგებული თანამედროვე სტანდარტებსა და განვითარების სწრაფ ტემპებზე.²⁰ ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევით, „*მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების 67% კმაყოფილებას გამოთქვამს მიღებული განათლების ხარისხით, რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებაზე (60%) ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხად მიიჩნევს*“.²¹ თანაბარი შესაძლებლობების, კონკურენტული და ჯანსაღი

¹⁷ ახალგაზრდობის სააგენტო. 2020. ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა. გვ. 7.

¹⁸ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი. გვ. 8.

¹⁹ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი. გვ. 3.

²⁰ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი. გვ. 9.

²¹ ახალგაზრდობის სააგენტო. 2020. ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა. გვ. 7-8.

გარემოს ჩამოყალიბება ახალგაზრდების ინტერესების დაკმაყოფილების მთავარი წინაპირობებია.

დასაქმება

დასაქმება ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის წამყვან თემებს შორისაა. ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევით რესპონდენტთა შორის „გამოკითხული 18-25 წლის ახალგაზრდების ნახევარი - 50%, ხოლო 26-29 წლის ახალგაზრდების 31% არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. ახალგაზრდების 16% უმუშევრობის ძირითად მიზეზად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებს. შეკითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (48%) და სტაჟირების შესაძლებლობა (47%) დაასახელეს“.²²

დასაქმების თემა ბევრ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2021 წელს მხარდაჭერილი კვლევის ფარგლებში - ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე - გამოკითხულ რესპონდენტთა შორის, მაგალითად, „აჭარის რეგიონში გამოკითხულების უმრავლესობა ახალგაზრდების დასაქმებისთვის მთავარ ფაქტორად შესაბამის განათლებას (55%) მიიჩნევს, 44% მუშაობის გამოცდილებაზე, 40% კი - შესაბამისი სანაცნობო წრის მნიშვნელობაზე მიუთითებს“.²³ მშობლებზე ფინანსური დამოკიდებულების შემცირების საკითხიც არანაკლებ აქტუალურია.²⁴ კვლევის მიხედვით, „დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავებისთვის ორ მთავარ ფაქტორად ახალგაზრდები პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში (აჭარის რეგიონი - 62%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 61%) და უცხო ენების შესწავლა/დახვეწაში (აჭარის რეგიონი - 54%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 61%) მხარდაჭერას მიიჩნევენ“.²⁵ „აჭარის რეგიონში ქალების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის მათ დასახლებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობა უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე (56%)“.²⁶

დასაქმებასთან დაკავშირებულ ბარიერებს შორის, სტუდენტის გრაფიკზე მორგებული სამუშაო საათების ნაკლებობა და დამსაქმებლების მხრიდან შეუსაბამო მოთხოვნების განსაზღვრა სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდებისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორებად რჩება.²⁷ პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალგაზრდული თემების აქტუალიზაციისთვის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ახალგაზრდულ მანიფესტში, ახალგაზრდები ასევე საუბრობენ ეკონომიკურ რესურსებსა და შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანაზღაურებადი სტაჟირებების, სოციალური მხარდაჭერი პროგრამების, სამსახურებში სათანადო ანაზღაურების თემების დისკუსიის საგნად ქცევაზე, რაც ახალგაზრდული ინტერესის ორიენტირია.²⁸

სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის სივრცეების შექმნა

²² ახალგაზრდობის სააგენტო. 2020. ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა. გვ. 7.

²³ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 27.

²⁴ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 134.

²⁵ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 27.

²⁶ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 43.

²⁷ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 27.

²⁸ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი. გვ. 6.

სოფელში, დაბასა თუ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები თვითრეალიზაციისთვის ითხოვენ ახალგაზრდული, არაფორმალური, სპორტული სივრცეების შექმნას, ინფორმაციის მიღებისა და აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალებებს.²⁹ ებერტის ფონდის კვლევაში, მაგალითად, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ორ ყველაზე ხშირად დასახელებულ სერვისად სპორტულ წრეებსა (53%) და უცხო ენების კურსებზე (45%) ხელმისაწვდომობა ჩაითვალა მნიშვნელოვნად. იგივე რეალობაა ქალაქი-სოფლის ჭრილშიც“.³⁰ ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევის თანახმად, „კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-მემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდული კლუბისა (41%) და კინოთეატრის (40%) არსებობა სურთ“.³¹ გამოწვევად რჩება მეწარმეობის ხელშემწყობ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საგრანტო პროექტებში ჩართულობა.³² არსებული მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, განსაკუთრებით შეინიშნება რეგიონებში, ისევე როგორც რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესსა თუ სამოქალაქო აქტივობებში ახალგაზრდების არმონაწილეობა.³³

ქალაქსა და რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემები მეტ-ნაკლებად მსგავსია, თუმცა ქალაქთან შედარებით, რეგიონებში მეტად საგრძნობია ინფორმაციასთან, რესურსებთან და მეტ შესაძლებლობებთან ხელმისაწვდომობის, ასევე, თვითრეალიზაციისათვის მრავალფეროვანი გარემოს შექმნის საჭიროება.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების წინაშე არსებული გამოწვევები, მეტი სირთულეებით ვლინდება რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის. ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა, უსაფრთხო არაძალადობრივი გარემო, დასაქმება, ინფრასტრუქტურული და საცხოვრებელი პირობების მოგვარება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)-ს კვლევის თანახმად, 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოში საზოგადოების განწყობის დასადგენად ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგებით, „ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში თავს დაუცველად“³⁴ სიღარიბისა (66%) და უმუშევრობის (64%) გამო გრძნობენ“.³⁵

ჯანდაცვა

რეგიონებში ქალების ჯანმრთელობის დასაცავად არასაკმარის საბაზო სერვისებით უზრუნველყოფაზე, როგორებიცაა ექიმთან კონსულტაცია, დიაგნოსტიკა, მედიკამენტოზური მკურნალობა, საუბრობს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევა - საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სერვისების სიძვირე ქალებს ართმევს შესაძლებლობას ჩაიტარონ პრევენციული ხასიათის

²⁹ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი. გვ. 7.

³⁰ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 197.

³¹ ახალგაზრდობის სააგენტო. 2020. ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა. გვ. 8.

³² ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 64.

³³ ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. გვ. 16.

³⁴ „30%-დან ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს“.

³⁵ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). დეკ. 2023. საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. გვ. 14.

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_GGF%20poll_October_2023_Geo_VF.pdf

შემოწმებები, რის გამოც ქალები სწავლობენ „ტკივილით თანაცხოვრებას“.³⁶ გამოწვევად მიიჩნევა სკრინინგის პროგრამებზე, გინეკოლოგთან ვიზიტზე, კონტრაცეპტივებსა და სქესობრივი ურთიერთობისას თავდაცვის სხვადასხვა საშუალებაზე ხელმისაწვდომობაც.³⁷ საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, აფთიაქებისა და კვალიფიციური ექიმების სიმცირე რეგიონებში, სერვისების სიძვირესთან ერთად, ქალებისთვის დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორებია. ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი საჯარო სოციალურ სერვისებსა და მომსახურებებზე.

ინფორმაციის ნაკლებობა დაკავშირებულია ენობრივ ბარიერთან, რომელიც არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა საჭიროებებზე საუბრისას. მაგალითად, მსგავსი სახის დაბრკოლება ქალებს სრულფასოვან წვდომას უზღუდავს ჯანდაცვის სერვისების მიღებისას. ენის მცოდნე ნათესავებისა თუ ნაცნობების ამ პროცესში ჩართვა კი, არღვევს მოქალაქის, როგორც პაციენტის კონფიდენციალურობისა და პრივატულობის პრინციპს.³⁸

გენდერული ბიუჯეტირება

გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა - *ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები* - მიუთითებს ადგილობრივი ბიუჯეტების შეზღუდულ რესურსებზე, ისევე როგორც რეგიონული ბიუჯეტების გენდერულად სენსიტიურობის ნაკლებობაზე, რაც არ ასახავს ქალთა საჭიროებებს.³⁹ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ინტერპარტიულ მანიფესტში ქალი ამომრჩევლების მოლოდინების შეფასებისას ვკითხულობთ, რომ გენდერული ბიუჯეტირების კომპონენტის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მუნიციპალიტეტების დონეზე, იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს ქალთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ადეკვატური პროგრამების დაგეგმვა.⁴⁰ აქტუალურია გენდერული საბჭოების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაც, რათა ქალებს ცვლილებების მისაღწევად ჰქონდეთ თავიანთ პრობლემებზე სადისკუსიო და სამსჯელო პლატფორმა.⁴¹ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, „*საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ქალებმა მიუთითეს, რომ მუნიციპალიტეტში შეხვედრებისას, გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავებისას, მათი ჩართულობის ხარისხი მკვეთრად დაბალია, რაც მრავალი ფაქტორით, მათ შორის, ინფორმირებულობის ნაკლებობით, პროცესისადმი ნდობის არარსებობით, შინ შრომით, ტრანსპორტზე წვდომით, სტერეოტიპული მიდგომებით არის განპირობებული. ამ ნაწილში კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები დგებიან, მათ შორის, შშმ ქალები, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, ხანდაზმულები, დევნილი ქალები და სხვ.*“⁴²

ადრეული ქორწინება

³⁶ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 10-11.

³⁷ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 14-15.

³⁸ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 13.

³⁹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში. გვ. 8-9.

⁴⁰ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2023. ინტერპარტიული მანიფესტი - ქალი ამომრჩევლის მოლოდინები და ქალი პოლიტიკოსების გამოწვევები: როგორ პასუხობენ პარტიები დაკვეთას?. გვ. 12.

⁴¹ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 31.

⁴² საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება. გვ. 9.

სოციალური საჭიროებების განხილვამდე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ფართოდ განსაზღვრავს პატრიარქალური საზოგადოება და ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები ქალთა როლის შესახებ, ადრეული ქორწინება და სოციალური მდგომარეობა. აქედან ყველაზე მწვავე ალბათ ადრეული ქორწინების თემაა. მიზეზშედეგობრივ კავშირებზე საუბრისას, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში - *ბავშვთა/ადრეული ქორწინება საქართველოში*, თემის წარმომადგენლები თავად აფასებენ ადრეული ქორწინების გამომწვევ მიზეზებს, რომელთა შორის უპერსპექტივობა, ნაკლები შესაძლებლობები და პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს არასათანადო ჩართულობა სახელდება. „*თუმცა, განათლება, დასაქმება და სიღარიბე რჩება წამყვან ფაქტორებად, რომლებსაც სახელმწიფო ენის არცოდნა და საჯარო ცხოვრებიდან უმცირესობების ენის სრული განდევნის პოლიტიკა, კიდევ უფრო ამწვავებს*“.⁴³ სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, „*2020 წელს, არასრულწლოვანთან სავარაუდოდ ქორწინების მოტივით ჩადენილ დაახლოებით 134 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება, 2021 წელს - დაახლოებით 212 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2022 წლის 6 თვეში (1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით) - დაახლოებით 61 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება*“.⁴⁴

ქალთა მიმართ ძალადობა

ზოგადად ქალებისთვის თანაბარი სიმწვავით დგას დასაქმების, აუნაზღაურებელი შინშრომის, ფინანსური დამოუკიდებლობის არქონის თემები, რაც უშუალოდ აისახება ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და შესაძლებლობების გაუარესებაზე, ასევე, ძალადობის ფაქტების ზრდაზეც.⁴⁵ ქალთა მიმართ ძალადობაზე საუბრისას კი, გვერდს ვერ ავუვლით ცნობიერების ამაღლების საჭიროებას, რეგიონებში თავშესაფრების ნაკლებობის პრობლემას, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლი ქალების გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სერვისებით მხარდაჭერის აუცილებლობასა და სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფას.⁴⁶ სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, კრიზისული ცენტრის თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები/კამპანიები რეგიონებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, თუმცა არსებული სტატისტიკა მოწმობს, რომ არაერთი ღონისძიების მიუხედავად, კრიზისულ ცენტრებში მიმართვიანობა კვლავ დაბალი რჩება. „*ასე გამოიყურება ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა: თბილისი 168; გორი 26; ოზურგეთი 20; მარნეული 19; ქუთაისი 5; თელავი 4*“.⁴⁷

დასაქმება

ქალთა დასაქმების შესაძლო ვარიანტებიდან, რეგიონებში, როგორც წესი, განიხილება საჯარო, მუნიციპალური და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ისედაც ლიმიტირებული ვაკანტური ადგილებით, ასევე, არაფორმალური თვითდასაქმება, იქნება ეს სოფლის მეურნეობის თუ წვრილმანი ვაჭრობის სექტორებში. შემოსავლის წყაროდაც, კვლავ მიიჩნევა ხანდაზმულთა

⁴³ კვინიკაძე, გ. 2024. ბავშვთა/ადრეული ქორწინება საქართველოში. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/bavshvta-adreuli-kortsineba-sakartveloshi>, ბოლოს ნახვა 20.07.2024.

⁴⁴ საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები. სპეციალური ანგარიში. გვ. 16.

⁴⁵ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 28.

⁴⁶ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 30.

⁴⁷ საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში. გვ. 18.

პენსია.⁴⁸ ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია - კვლევის მიხედვით, 2021 წლის მდგომარეობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი გამოკითხული რესპონდენტების შინამეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროებს განეკუთვნება: „ოჯახის წევრების ხელფასები და გამომუშავებული ანაზღაურება: მოცემული კატეგორია წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 36.2%-თვის; პენსია: პენსიიდან მიღებული შემოსავალი ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 27.5%-თვის; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა: სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 21.7%-ის შემთხვევაში“.⁴⁹

დასაქმების შესაძლებლობები კიდევ უფრო რთულდება მარტოხელა დედების შემთხვევაში, რომლებიც იძულებულნი ხდებიან დაბალ შემოსავალზე ჩაერთონ პრეკარიულ შრომაში. შედეგად კი, ვერ ვარღვევთ სიღარიბის ფემინიზაციის ჯაჭვს, რასაც ასევე უკავშირდება ქალებისთვის საკუთრების, მიწისა და მემკვიდრეობის არდატოვების დისკრიმინაციული მიდგომებიც.⁵⁰

განათლება

ქალთა დასაქმების პრობლემებთან დაკავშირებულ სისტემურ ფაქტორებს შორის აუცილებლად უნდა განვიხილოთ პროფესიული განათლების მიღების მწირი შესაძლებლობა. მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის - ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია - თანახმად, „მაშინ, როდესაც სრული საშუალო განათლების დონეზე უფრო მაღალი საფეხურისთვის (საშუალო ტექნიკური, სრული უმაღლესი, სამეცნიერო ხარისხი) მიღწეული აქვს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 43.1%-ს, იგივე მაჩვენებელი 26.2%-ს შეადგენს ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთანავე, მაღალია იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი, რომელთაც არ მიუღწევიათ სრული საშუალო განათლებისთვის; სრული საშუალო განათლების არმქონე ეთნიკური უმცირესობების წილი 23.2%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 10.1%-ის ტოლია მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის დონეზე“.⁵¹ განათლების ხელმისაწვდომობასთან ერთად, სოფლებში საბავშვო ბაღების სიმცირე და გახანგრძლივებული გაკვეთილების არარსებობა, ქალებს თვითგანვითარებისათვის საჭირო თავისუფალ დროსაც ართმევს.⁵²

ინფრასტრუქტურული საკითხები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის რეგიონებში არსებულ გამოწვევებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინფრასტრუქტურული და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგების საკითხები, რაც სეზონების ცვლილებასთან ერთად, მოსახლეობაზე სხვადასხვანაირად აისახება. ინფრასტრუქტურის გამართულობა, რაც, თავის მხრივ, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით განსხვავებული სირთულითა და სიმწვავით გვხვდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ქალებისთვის.

⁴⁸ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში. გვ. 9.

⁴⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია. გვ. 13-14.

⁵⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში. გვ. 21.

⁵¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია. გვ. 8.

⁵² შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 21.

ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს შორის პრიორიტეტულია წყლის მიწოდების, გაზიფიცირების, გათბობის, საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართული ფუნქციონირების თემები, ასევე, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ონლაინ სწავლებისთვის განკუთვნილი ინვენტარით უზრუნველყოფა.⁵³ დღეს, საქართველოში კვლავ ვხვდებით ადგილებს, სადაც ქალები და გოგონები დიდ დროს, ამასთანავე ენერჯიასა და ძალისხმევას ხარჯავენ სასმელი წყლის სახლში მოტანაში. პრობლემურია სარწყავი, საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგების, უწყვეტი ელექტროენერჯის მიწოდების, გზების მოპირკეთებისა და სოფლების საჯარო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.⁵⁴ ტრანსპორტირების პრობლემებს ებმის, როგორც ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა, ასევე, შემოსავლის წყაროს ქონაც, რაც გულისხმობს, სოფლის მეურნეობის შედეგად მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას.⁵⁵

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები დღეს საქართველოში ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფად რჩება. მათ წინაშე დაგროვილი პრობლემები აერთიანებს ჯანდაცვის, დასაქმების, განათლების თემებს, ამასთანავე, ადრეული ქორწინებით, ქალთა მიმართ ძალადობით, ინფრასტრუქტურული და საცხოვრებელი სირთულეებით წარმოქმნილ ბარიერებს, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით საჭიროებს სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმარებას რეალური ცვლილებების მისაღწევად.

ღებტქი ქალების საჭიროებები

ანტიგენდერული ნარატივების მომძლავრების ფონზე, საქართველოში ღებტქი უფლებების აღიარების მიმართულებით აქამდე გადადგმული ნაბიჯები თემის წევრთა ცხოვრებაზე სათანადოდ არ აისახება. შესაბამისად, ამ ჯგუფის ქალები სრულიად მოწყვეტილი რჩებიან სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს, რაც აძლიერებს მათი ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის ფაქტებს. უსაფრთხოების საკითხებს, თან სდევს, დასაქმებისა და ეკონომიკური გამოწვევები, დისკრიმინაციული საზოგადოებრივი გარემო, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა.

უსაფრთხოება

ღებტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ თემის წარმომადგენლები ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულად მოწყვლადი წევრები არიან, და მათ სოციალური პრობლემების განხილვამდე, პირველ რიგში, ფიზიკური უსაფრთხოების საკითხები უდგათ. 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში - *ღებტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში - გამოკითხული „რესპონდენტების 52% ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი მთლიანად ან ნაწილობრივ, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო. გამოკითხული რესპონდენტებიდან ძალადობის გამოცდილება ყველაზე მაღალია გეი (65.5%) და ტრანსგენდერ (61.8%) რესპონდენტებში. ძალადობის გამოცდილება მაღალია თბილისში (57%), აჭარასა (53.3%) და იმერეთში (43.8%) მცხოვრები რესპონდენტების შემთხვევებში. რესპონდენტები ყველაზე ხშირად დაექვემდებარნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას (91%) და ფსიქოლოგიურ ძალადობას (81%). რესპონდენტების მესამედის*

⁵³ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 41.

⁵⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში. გვ. 9.

⁵⁵ შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. გვ. 20.

შემთხვევაში, ადგილი აქვს ფიზიკური ძალადობის მუქარისა (75%) და ბულინგის (ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში) შემთხვევებს (73%)⁵⁶

რასაკვირველია, თითოეული ადამიანის გამოცდილება ინდივიდუალურია, ყველა ერთნაირი სიმწვავეით არ აწყდება უსაფრთხოების პრობლემებს, თუმცა ფიზიკური თვითგადარჩენა საყურადღებო საკითხია ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში. ფიზიკური ძალადობა (მათ შორის, ოჯახის წევრების მხრიდან), უსახლკარობა არანაკლებ ნაცნობი თემებია ლესბოსელი ქალებისთვის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების შემდეგ.⁵⁷ ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა, ბოლო 2 წლის ინტერვალით ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესწავლისას ადგენს, რომ „ლესბოსელი რესპონდენტების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება გამოკითხული ლესბოსელი რესპონდენტების 51.6%-ს აქვს“.⁵⁸

დასაქმება და უსახლკარობა

შრომით ბაზარზეც, მეტი დაბრკოლებებით გამოირჩევა ტრანსგენდერი ქალების დასაქმების შესაძლებლობა. გამოწვევები განპირობებულია დისკრიმინაციული მიდგომით დამსაქმებლის მხრიდან მათი გენდერული გამოხატვის მიუღებლობის გამო, შედეგად, ძირითად ფინანსურ წყაროდ ტრანსგენდერი ქალები სექს-სამუშაოს განიხილავენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის რისკთანაცაა დაკავშირებული.⁵⁹

დასაქმების ძიებისას, თემის წარმომადგენელთა გამოცდილებები არაერთგვაროვანია, როგორც ტრანსგენდერი, ისე ლესბოსელი ქალებისთვის, ზოგ შემთხვევაში პრობლემურია გენდერული გამოხატვის, გარეგნობისა თუ ჩაცმის სტილის მიუღებლობა.⁶⁰ კვლევების თანახმად, თემის წევრები მეტად ცდილობენ სამსახური მოიძიონ ისეთ სექტორებსა თუ ადგილებში, სადაც ტოლერანტული, მიმღებლური და მეგობრული გარემო დახვდებათ.⁶¹ ლგბტქი ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ზოგადად არის მათთვის როგორც ეკონომიკური გამოწვევების, ისე უსახლკარობის მიზეზიც. მიუღებლობა ოჯახის წევრებისა და საზოგადოების მხრიდან, ადამიანს საცხოვრებელი გარემოს მუდმივი ცვლილებისკენ უბიძგებს. რთულია კონკრეტულ სტატისტიკაზე საუბარი, რომელიც თემის წევრთა უსახლკარობის რეალურ სურათს მოგვცემდა.⁶² შესაბამისად, თავშესაფრების არსებობა, ქალებისთვის, შესაძლოა, უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ადამიანთა მდგომარეობის შემსუბუქების გზადაც განიხილებოდეს.

ჯანდაცვა

დასაქმებასთან ერთად, არანაკლებ საყურადღებოა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ქალებისთვის, რომლებიც კვლევების თანახმად, საჭიროებენ ძვირადღირებულ სამედიცინო სერვისებს, ჰორმონალურ თერაპიას, ცნობიერების ამაღლებას აივ/შიდსისა და ინფექციური დაავადებების შესახებ და ა.შ. ცალკე

⁵⁶ ჯალაღანია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 87.

⁵⁷ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 47.

⁵⁸ ჯალაღანია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 100.

⁵⁹ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 7-8.

⁶⁰ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 7.

⁶¹ ჯალაღანია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 146.

⁶² ჯალაღანია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 43.

საკითხია სამედიცინო პერსონალის მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და ნაკლები მგრძობელობით შექმნილი ბარიერების გადალახვაც. ანალოგიურ გამოცდილებაზე საუბრობენ ლესბოსელი ქალებიც. დისკრიმინაციულ გარემოში ცხოვრებით მიღებული ტრავმული გამოცდილებები საჭიროებს სათანადო ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფასაც. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თემის წევრთა შორის ინფორმაციული ნაკლებობა უკვე არსებულ სოციალურ სერვისებზე, ლგბტქი ქალების მიერ სერვისებით ნაკლებად სარგებლობას იწვევს.⁶³

განათლება

განათლების სფეროში დაგროვილი ბარიერები პირველ რიგში ასევე დაკავშირებულია დისკრიმინაციულ გარემოსთან, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობას. თემის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლისგან განსხვავებით, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები მეტად გამოირჩევა ტოლერანტული მიდგომებით.⁶⁴ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განათლება, ისევე როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში ანტიდისკრიმინაციულ საკითხებზე მუშაობა, როგორც მასწავლებლებთან, ისე მოსწავლეებთან, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შესაბამისი საკითხების დანერგვა, განიხილება მარგინალიზებულ ჯგუფთათვის სიღარიბისგან თავის დაღწევისა და საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის საშუალებად.⁶⁵

კვლევები ადასტურებს, რომ ლგბტქი ქალებისთვის ღირსეული ცხოვრება, სამუშაო გარემო, ნიშნავს არა მხოლოდ ადეკვატური სამსახურის, ანაზღაურებისა თუ სერვისების ხელმისაწვდომობას, არამედ უსაფრთხო და სტიგმისგან დაცლილი თავისუფალი გარემოს შექმნასაც.⁶⁶ საქართველოში ჰომოფობიური განწყობების შესამცირებლად არაერთი მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, რამაც წლებთან ერთად გარკვეული შედეგი გამოიღო. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის - *წინარწმენიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტქი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ* - თანახმად, 2016 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, „მნიშვნელოვნად იკლო ჰომოფობიურმა განწყობებმა“.⁶⁷ ჰომოფობიური განწყობების შემცირება ძირითადად საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებში, ქალებში, ახალგაზრდებში გაზრდილი კეთილგანწყობის გამოხატულებაა. თუმცა ბოლო წლებში ვაკვირდებით მზარდ პოლიტიკურ ჰომოფობიას, რომლის ფონზეც სურათი არსებითად იცვლება. პოლიტიკური ჰომოფობიის წახალისება კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ჩვენს საზოგადოებაში ადამიანთა უსაფრთხო ცხოვრებას და სულ უფრო ამცირებს ინკლუზიური გარემოს შექმნის შესაძლებლობას. ეს არის ადამიანების თავისუფლების, თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის შეზღუდვის, დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის იარაღი, რასაც სავალალო შედეგები მოაქვს საზოგადოების კეთილდღეობისთვის და სამწუხაროდ, დღეს, საკანონმდებლო ინიციატივებით გამოიხატება.

⁶³ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 8.

⁶⁴ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 7.

⁶⁵ ჯალაღანია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 35.

⁶⁶ ჯალაღანია, ლ. 2022. ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). გვ. 27.

⁶⁷ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG). 2023. წინარწმენიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტქი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. ნაწ. 2. გვ. 18.

მიმდინარე წელს დაინიცირებული - „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ - საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, „ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოსაზრებაში ნათქვამია, რომ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, რადგან, მისი მიღება, კიდევ უფრო დაამძიმებს, ლგბტი ადამიანების მიმართ მტრულ და სტიგმატიზებულ გარემოს. ამრიგად, კომისიამ, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ ძირეულად გადახედოს საკანონმდებლო ინიციატივის მიღების მიზანშეწონილობას და უარი თქვას მის მიღებაზე“.⁶⁸ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ანალიზში - ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ - ჰომოფობიური საკანონმდებლო ინიციატივების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი - ფასდება, როგორც ხელისუფლების მხრიდან „ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების სტრატეგია“, როგორც „ოფიციალური პოლიტიკისა და დისკურსის ნაწილი“, ანუ „სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ჰომოფობია“ და „ის მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან“. რაც, ასევე, „წინააღმდეგობაში მოდის ევროინტეგრაციის ამოცანებთანაც, რომლის ფუნდამენტური პრინციპიც, სწორედ დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობის იდეის დაცვაა“.⁶⁹ შესაბამისად, ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები შემოთავაზებული სახით, კიდევ უფრო დააშორებს ქვეყანას თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ღირებულებებისა და თავისუფალი გარემოს შექმნის შესაძლებლობისგან, რის გამოც მისი მიღება დაუშვებელია.

სოფლად/მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალები

სოფლად/მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების საჭიროებებზე საუბრისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის თემებს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევით, შეკითხვაზე, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც შენი ქალაქი/სოფელი აწყდება, გამოკითხულთა პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება: ინფრასტრუქტურა 41%; უმუშევრობა 32%; ცხოვრების ხარჯები, მაღალი ფასები 26%.⁷⁰

ჯანდაცვა

სოფლად/მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ქალთა საჭიროებების გარშემო ჩატარებული კვლევები მოწმობს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესაძლებლობების გაზრდის განსაკუთრებულ აუცილებლობას. მათ შორის, გამოკვლევების, კონსულტაციების, სკრინინგის ჩატარების ხელმისაწვდომობას. მაგალითად, 2023 წლის მონაცემებით, მაღალმთიანი აჭარის, ხულოს მუნიციპალიტეტში, სადაც 23 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მძიმე მდგომარეობაა

⁶⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. ვენეციის კომისიის დასკვნის მიმოხილვა ქართული ოცნების ჰომოფობიური საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით. https://socialjustice.org.ge/ka/products/venetsiis-komisiis-daskvnis-mimokhilva-kartuli-otsnebis-homofobiur-sakanonmdeblo-initsiavastan-dakavshirebit?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAR0XzXU2SH_NTx3LYqundCld5z_YL_e8F3kKgKEnxfHjEP18NS1qJwRAo_aem_8S9vaheEltHWZSKePT1BMA, ბოლოს ნახვა: 19.07.2024.

⁶⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ - ჰომოფობიური საკანონმდებლო ინიციატივების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი. გვ. 32-33.

⁷⁰ The International Republic Institute (IRI). Sep–Oct. 2023. Georgian Survey of Public Opinion. გვ.10. <https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september-october-2023/>

ჯანდაცვის სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებით, რადგანაც არ ფუნქციონირებს სამშობიარო განყოფილება და ქალებს არ აქვთ წვდომა გინეკოლოგიურ მომსახურებაზე.⁷¹

დასაქმება

მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის სხვა რეგიონების მსგავსად, წამყვან საკითხად ეკონომიკური კეთილდღეობა, დასაქმების შესაძლებლობები და არასაკმარისი ფინანსური შემოსავალი რჩება.⁷² მაღალმთიან რეგიონებშიც დასაქმების ადგილები საჯარო და საგანმანათლებლო დაწესებულებებით შემოიფარგლება. გეოგრაფიული დაშორების გამო, ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი პროფესიული გადამზადების პროგრამებზე. ქალებს სურთ კონკურენტუნარიანი პროფესიების დაუფლებისთვის გრძელვადიანი კურსების/ტრენინგების გავლა და ცოდნის შეძენა.⁷³ ქალები საუბრობენ თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აუცილებლობაზე, რაც მათ მცირე და საშუალო ბიზნესის დაგეგმვასა და მართვაში ცოდნის დაუფლების საშუალებას მისცემდა.⁷⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ცნობით, საქსტატის 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, სოფლად მცხოვრები ქალები, სოფლის მოსახლეობის 51%-ს შეადგენენ, თუმცა მათი უმრავლესობა არ მუშაობს და არც ეძებს სამსახურს (66,5%). ეკონომიკურად აქტიური ქალებიდან (33,5%), 13,1% უმუშევარია, 86,9% კი - დასაქმებული. ამ მონაცემებიდან ქალების 46,4%-ია დამქირავებლის მიერ დასაქმებული, ხოლო 40,5% თვითდასაქმებული, რაც მოწყვლადად დასაქმებულად მიიჩნევა.⁷⁵ ამავე მიმოხილვაში საუბარია ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტივობის მიზეზებზეც, რომელთა შორის წამყვან ფაქტორს აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა იკავებს, რის შესრულებასაც ინფრასტრუქტურული სირთულეების გამო ქალები ბევრად მეტ დროს ახარჯავენ. ეკონომიკურად პასიურობის მიზეზებს შორის ასევე განიხილება ბაღების ნაკლებობა.⁷⁶

ინფრასტრუქტურული საკითხები

ინფრასტრუქტურულ საკითხებს შორის დღეს ქალებისთვის სოფლებში პრიორიტეტულია ისეთი თემების მოგვარება, როგორებიცაა უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, გზების მოპირკეთება, ჯანდაცვის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საკანალიზაციო და ნაგვის გატანის სისტემების მოწესრიგება.⁷⁷ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის არანაკლებ პრობლემურია ტრანსპორტირების თემის, სოფლებში ნაგავსაყრელების საკითხის მოგვარებაც,⁷⁸ ასევე, სარწყავი წყლის გაყვანილობის, ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების, სკვერების, გზებზე სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების დამონტაჟება.⁷⁹ საბაზო საჭიროებებს შორის ქალების წინაშე კვლავ დგას გაზიფიცირების, უსაფრთხოებისთვის გარე განათების მოწესრიგების, სანიაღვრე სისტემების გაუმჯობესების, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გაყვანის, კულტურული ცენტრების და ადგილობრივი კლუბების გახსნის საკითხები.⁸⁰

⁷¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2023. მოვითხოვთ სამშობიარო განყოფილების გახსნას ხულოს მუნიციპალიტეტში. <https://socialjustice.org.ge/ka/products/movitkhovt-samshobiaro-ganqofilebis-gakhnas-khulos-munitsipalitetshi>, ბოლოს ნახვა: 19.07.2024.

⁷² გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. გვ. 9.

⁷³ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. გვ. 13.

⁷⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. გვ. 27.

⁷⁵ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. ქალები საქართველოს სოფლის ეკონომიკაში. მოკლე მიმოხილვა. გვ. 1.

⁷⁶ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. ქალები საქართველოს სოფლის ეკონომიკაში. მოკლე მიმოხილვა. გვ. 2.

⁷⁷ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. ქალები საქართველოს სოფლის ეკონომიკაში. მოკლე მიმოხილვა. გვ. 2-4.

⁷⁸ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2024. ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს. გვ. 12.

⁷⁹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2024. ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს. გვ. 18.

⁸⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2024. ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს.

მემკვიდრეობის საკითხები

სოფლად/მაღალმთიან რეგიონებში მწვავედ დგას ქალებისთვის მემკვიდრეობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის არდატოვების დისკრიმინაციული მიდგომა, რაც ქალებს უზღუდავთ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობას.⁸¹ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, 2014 წელს, ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში კვლევისას, დადგინდა, რომ გამოკითხული „როგორც მამაკაცების [50%], ასევე, ქალების [39%] უმრავლესობის აზრით, ოჯახის მემკვიდრეობა ვაჟს უნდა გადაეცეს“.⁸² ამავეს ადასტურებს ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წელს ხუთ მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა - გენდერული სტერეოტიპებისა და მავნე წეს-ჩვეულებების შესახებ, რომლის მიხედვით, „კვლავ მყარად მოქმედებს სტერეოტიპი, რომ მშობლების უმრავი ქონების მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟი წარმოადგენს. ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა დაახლოებით 70% ფიქრობს, რომ მიწა, საცხოვრებელი სახლი და სხვა უმრავი ქონება მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟებს ან უმეტესწილად ვაჟებს გადაეცემათ“.⁸³ ქალებისთვის ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვისა და ბიზნესის ინდივიდუალურად დაგეგმვის შესაძლებლობის ნაკლებობა, ძირითადად საკუთრებაში მიწის არქონით არის განპირობებული.

ემიგრანტი ქალები

საქართველოში რთულად თუ მოიძებნება ოჯახები, რომელთა ერთი წევრი ემიგრაციის გზას არ არის შემდგარი. კავკასიის ბარომეტრის მიერ 2024 წელს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების რეგულარული კვლევის მიხედვით, შეკითხვაზე, „გყავთ თუ არა ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს“, გამოკითხულთა 58% დადებით პასუხს სცემს.⁸⁴

2023 წელს NDI-ის მიერ საზოგადოების განწყობის გამოკითხვის თანახმად, საქართველოს ყოველი ათი მოქალაქიდან ერთს ჰყავს ოჯახის წევრი საზღვარგარეთ, რომელიც მას რეგულარულად ფულს უგზავნის.⁸⁵ ქალთა ემიგრაციის საკითხი განსაკუთრებით სენსიტიური და მტკივნეულია, ალბათ, იმიტომ, რომ ემიგრაციის გზა ქალებისთვის დაუსრულებელ თავგანწირვად იქცა. ამავე კვლევით, გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით, „ემიგრაციის მთავარი მიზეზი დაბალი ხელფასები (65%) და სამუშაო ადგილების ნაკლებობაა (56%)“.⁸⁶ ემიგრანტი ქალებისთვის გამოწვევებს შორის დომინირებს რთული ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა, შრომის ბაზარზე დასაქმების სირთულეები და სოციალური დაცვის/ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა.

ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა

⁸¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. გვ. 14.

⁸² გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. გვ. 5.

⁸³ ქალთა საინფორმაციო ცენტრი. 2022. გენდერული სტერეოტიპებისა და მავნე წეს-ჩვეულებების კვლევა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ზუგდიდი, ქედა, ხარაგაული, ხაშური). გვ. 2.

⁸⁴ კავკასიის ბარომეტრი (CRRC). 2024. კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების რეგულარული კვლევა. „გყავთ თუ არა ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს?(%)“. <https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/FAMCLAB/>

⁸⁵ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. გვ. 47.

⁸⁶ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. გვ. 50.

ქალთა ემიგრაციის მთავარ მიზეზად, კვლევაში, „საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა“, თავად ქალები გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ, რომელიც დაბალი ანაზღაურებითა და უმუშევრობის ფაქტორებითაა განპირობებული. ქალები ემიგრაციაში ძირითადად ოჯახის წევრების თანადგომისა და დახმარების უზრუნველსაყოფად მიდიან.⁸⁷ ემიგრანტი ქალების გამოგზავნილ თანხას კი, ოჯახის წევრები ყოველდღიურ საჭიროებებს, განათლებას, ჯანმრთელობასა და ბანკის სესხების დაფარვას ახმარენ, რაც, თავის მხრივ, ახანგრძლივებს ქალთა ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს. დროთა განმავლობაში ოჯახები იზრდება და იზრდება მათი საჭიროებებიც. ემიგრაციის თანმდევი რთული ფიზიკური მუშაობა და ემოციური მდგომარეობა უშუალოდ აისახება ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.⁸⁸

ემიგრაციის გამოცდილების მქონე ქალთა შეფასებით, ემიგრაციაში შეგროვებული ეკონომიკური, ფინანსური რესურსები ძირითადად ოჯახის საჭიროებებზე იხარჯება და არ არის საკმარისი ქალების ინდივიდუალური კეთილდღეობისთვის. ოჯახის წევრებსა და შვილებთან განშორების ემოციურ სტრესს, როგორც წესი, ემატება წლების განმავლობაში გაჩენილი გაუცხოებაც. შესაბამისად, ემიგრაციიდან დაბრუნებისას ჩნდება ოჯახთან რეინტეგრაციის პრობლემებიც.⁸⁹

დასაქმება

ემიგრაციის დაუსრულებელი გზა, დაბრუნების შემთხვევაში, ქალებისთვის შრომის ბაზარზე დასაქმებისა და თვითრეალიზაციის სირთულეებითაც არის განპირობებული. ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის შესახებ ჩატარებული კვლევის თანახმად, ამ სახის გამოწვევას განსაკუთრებით აწყდებიან 50 წელს გადაცილებული ქალები, რადგანაც დამსაქმებლები უპირატესობას ძირითადად ახალგაზრდა თანამშრომლებს ანიჭებენ.⁹⁰ ამასთანავე, წლების განმავლობაში საქართველოს რეალობას მოწყვეტილი ქალებისთვის, რთული ხდება არსებულ სიტუაციასთან ადაპტირება და საარსებო რესურსების მოძიება. შექმნილ ვითარებასთან გამკლავების გზად ქალები საკუთარი საქმის წამოწყებისა და თვითდასაქმების ვარიანტებს განიხილავენ, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნევენ პროფესიული გადამზადებისა და ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას.⁹¹

სოციალური სერვისები

გამართული სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სერვისების ქონა პრიორიტეტულია ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალებისთვის. იძულებითი ემიგრაციის გამო ქალების დაგროვებითი საპენსიო სისტემიდან მოწყვეტაც პრობლემად რჩება. უმუშევრობის დახმარების არარსებობა და ხანდაზმულობის მცირე პენსია ართულებს ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივებს. საპენსიო ასაკში ქვეყანაში დაბრუნებული პენსიონერი ქალების ნაწილი კვლავ განიხილავს, ნაწილი კი ისევ ემიგრაციის გზას ადგება.⁹²

⁸⁷ ჩაჩავა, მ. 2020. საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა. გვ. 18.

⁸⁸ ჩაჩავა, მ. 2020. საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა. გვ. 21.

⁸⁹ ჩაჩავა, მ. 2020. საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა. გვ. 22.

⁹⁰ ჩაჩავა, მ. და ზუბაშვილი, ნ. 2023. ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა: საჭიროებების კვლევა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის კონტექსტში. გვ. 15.

⁹¹ ჩაჩავა, მ. და ზუბაშვილი, ნ. 2023. ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა: საჭიროებების კვლევა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის კონტექსტში. გვ. 17.

⁹² ჩაჩავა, მ. და ზუბაშვილი, ნ. 2023. ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა: საჭიროებების კვლევა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის კონტექსტში. გვ. 19.

კონფლიქტით დაზარალებული ქალები

უსაფრთხოება, უმუშევრობა, ჯანდაცვის საკითხები, სოციალური სერვისები და ინფრასტრუქტურული საკითხები განსაკუთრებულად აწუხებთ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეებისათვის პრიორიტეტულია ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიების მიღება სახელმწიფო სტრუქტურებისგან, უკანონო დაკავებებისა და არასტაბილური გარემოს თავიდან ასარიდებლად.⁹³

უსაფრთხოება

სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე, ვკითხულობთ, რომ „ბოლო წლების განმავლობაში შემცირებულია ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის პირთა უკანონო დაკავებები, თუმცა ქალები ასევე უთითებენ, რომ თავად ერიდებიან ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს მისვლას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მათი თქმით, უსაფრთხოების განცდა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. გამონაკლისია გორის, ქარელისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების რიგი სოფლები, სადაც ქალები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. მოწოდებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავები მუდმივად პატრულირებენ, ეს მათ უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიას არ აძლევს. მათი თქმით, სანამ ოკუპაციის ხაზთან რუსი სამხედროები დგანან, მშვიდი ცხოვრება შეუძლებელია“.⁹⁴

საქართველოს სახალხო დამცველის მონაცემებით, „2021 წელს საოკუპაციო ხაზზე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 70 პირი დააკავეს, მათ შორის 10 ქალი, 59 კაცი და 1 არასრულწლოვანი. აფხაზეთის მიმართულებით დააკავეს 11 პირი, აქედან 2 ქალი და 9 კაცი. შედეგად, მოსახლეობას მუდმივად აქვს გადაადგილების შიში დაკავებისა და გატაცების საფრთხის გამო, რაც მათ მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს“.⁹⁵ ოკუპირებული ტერიტორიის გასწვრივ არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი მიგრაციისა და საზღვრისპირა სოფლების დაცლის მთავარი მიზეზიცაა.⁹⁶ მოსახლეობისგან დაცლილი გარემო, კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში ტოვებს გამყოფ ხაზთან დარჩენილ ქალებს.

დასაქმება

უსაფრთხოებასთან ერთად, უმუშევრობა ყველაზე სერიოზულ გამოწვევებს შორისაა.⁹⁷ ბევრი ქალისთვის ხანდაზმულობის პენსია და სოციალური დახმარება შემოსავლის მთავარ წყაროდ განიხილება. სახელმწიფო პროგრამებისა და აგრო თუ მცირე ბიზნესის მართვის პროექტების შესახებ ინფორმაცია ქალებს შორის მწირია. გამოწვევად მიიჩნევა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ქალებისთვის მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია. რადგანაც სოფლის მეურნეობა შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ რჩება, ქალებს დამატებით

⁹³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 8.

⁹⁴ საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში. გვ. 9.

⁹⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 8.

⁹⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 5.

⁹⁷ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები. გვ. 9.

ესაჭიროებათ მიწის ნაკვეთების გამოყენება.⁹⁸ დამაბრკოლებელი ფაქტორია, მაგალითად, გამყოფ ხაზთან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილზე გამავალი მავთულხლართები, რაც უსაფრთხოების დამატებით რისკებს ქმნის მიწის დამუშავებისას. ქალები გარკვეულწილად ინფორმირებულნი არიან პროფესიული გადამზადების პროგრამების თაობაზე, თუმცა მსგავსი სახის პროგრამებით სარგებლობას ნაკლებად ახერხებენ საოჯახო ვალდებულებებისათვის დათმობილი დროისა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, რადგანაც სასწავლებლებისა თუ კოლეჯების უმრავლესობა ქალაქებშია განთავსებული. ყველა ეს გარემოება, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, ქალთა მიგრაციულ პროცესებსაც უწყობს ხელს.⁹⁹

ჯანდაცვა და სოციალური სერვისები

ინფორმაციის ნაკლებობა, განსაკუთრებით სოფლებში, რეგიონებში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს უზღუდავს ჯანმრთელობის სერვისებსა და არსებულ სოციალურ შედეგებზე წვდომას.¹⁰⁰ ქალებისთვის საყურადღებო თემაა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესაძლებლობა. ძირითადად, რეგიონებსა და სოფლებში ქალები დგანან მენსტრუაციული საჭიროებების პროდუქციისა და სანიტარიული საშუალებებით მომარაგების პრობლემის - მენსტრუალური სიღარიბის წინაშე. მენსტრუალური ჰიგიენის შესანარჩუნებლად არანაკლები მნიშვნელობისაა სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობაც. დგას ცნობიერების ამაღლების საჭიროება, როგორც ოჯახის დაგეგმვის, ისე არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან აცილების მიზნით.¹⁰¹ გამოწვევაა ოჯახური ძალადობის შესახებ მოსახლეობაში ცნობიერების ნაკლებობაც.¹⁰²

საზღვრის პირას და სოფლად მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული ქალები საუბრობენ სამედიცინო დახმარების არაეფექტიანად მიღების შესახებ, რადგანაც, გადაუღებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადებს, მათთან მისაღწევად, როგორც წესი, დიდი დრო სჭირდებათ.¹⁰³ გამყოფ ხაზთან „დასახლებების მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ მათ სოფელში არის საავადმყოფო, 1%-ში არის პოლიკლინიკა და 45%-ში - ზოგადი კლინიკა. მოსახლეობის ინფორმაციით, კლინიკა საბაზო საჭიროებებს დასახლებების 72%-ში აკმაყოფილებს“. ამასთანავე, „იმ დასახლებებიდან, სადაც სამედიცინო დაწესებულებები არ არის, 26%-ში არის სოფლის ექიმი და 6%-ში - სოფლის ექთანი. სულ, დასახლებების 38%-ში სამედიცინო მომსახურება საერთოდ არ არის სოფელში“.¹⁰⁴

ჯანმრთელობის საკითხებთან ერთად, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პოსტტრავმულ სტრესთან გამკლავებისა და მენტალური

⁹⁸ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები. გვ. 32.

⁹⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 11.

¹⁰⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები. გვ. 6.

¹⁰¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 7.

¹⁰² სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 8-9.

¹⁰³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 9.

¹⁰⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2019. საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება. გვ. 36.

ჯანმრთელობის სათანადო სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა. გამოწვევებს შორის რჩება საზღვრის პირას მცხოვრები ქალებისთვის არასრულფასოვანი კვების საკითხიც.¹⁰⁵

ინფრასტრუქტურული საკითხები

გამყოფ ხაზთან შეზღუდულია ბაგა-ბაღების, სკოლების რაოდენობა და დგას დაწესებულებების შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის საჭიროებაც. სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2022 წლის კვლევის - „*გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები*“ - მიხედვით, „*2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საბავშვო ბაღი ან ბაგა-ბაღი საზღვრისპირა დასახლებების მხოლოდ 30%-ს აქვს (20% - ცხინვალი/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან დასახლებები, ხოლო 57% - აფხაზეთთან). დასახლებების ნახევარში არ არის სკოლა, ხოლო არსებულ სკოლებში არის სათანადო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. პრობლემურია არსებულ დაწესებულებათა ნაწილში წყალგაყვანილობის, საპირფარეშოს, გათბობისა და კვების თემები*“.¹⁰⁶ ინფრასტრუქტურულ საკითხებს შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფას, საირიგაციო წყლის სისტემის, სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას. ქუჩის განათების დამონტაჟების, გაზიფიცირების, უგზოობის, სატელეფონო და ინტერნეტმომსახურებით უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ნარჩენების მართვის საკითხების მოგვარებას. რიგ სოფლებში კვლავ შეზღუდულია აფთიაქებთან წვდომის შესაძლებლობა.¹⁰⁷ გამოწვევად რჩება შეშით გათბობისა და ცხელ წყალთან ხელმისაწვდომობა, რაც ოჯახებისთვის დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს წარმოქმნის.¹⁰⁸

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

საცხოვრებელი სივრცე და საზოგადოებრივი გარემო, რომელიც არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საჭიროებებზე, მრავალმხრივ სირთულეებს უქმნის ამ ადამიანებს. სირთულეები დაკავშირებულია არა მხოლოდ სისტემურ უსამართლობასთან და შშმ პირთა პრობლემების უხილავობასთან, არამედ საზოგადოების დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასთანაც.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებულ თემატურ მიმოხილვაში - „*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში*“ - შშმ ქალების მიმართ სისტემური პრობლემები გამოხატულია ჯანდაცვის, დასაქმების, განათლების სფეროებში შეზღუდული წვდომითა და პოლიტიკურ პროცესებში ნაკლები მონაწილეობით. შშმ ქალები ბევრად მოწყვლადები არიან ძალადობის მიმართ და ბევრი მათგანი მუდმივად ცხოვრობს მომატებული საფრთხის ქვეშ.¹⁰⁹ ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე საუბრისას, „*გასათვალისწინებელია შემდეგი ქვეჯგუფების სპეციფიკა: ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური და სენსორული ნიშნით შშმ ქალები და გოგოები*“.¹¹⁰

¹⁰⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 10.

¹⁰⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 10.

¹⁰⁷ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2019. საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება. გვ. 23.

¹⁰⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. გვ. 13.

¹⁰⁹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 1.

¹¹⁰ გოჩიაშვილი, ნ. 2022. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. გვ. 4.

შშმ სტატუსის ფლობის მაჩვენებელი

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიმოხილვაში მოყვანილი მონაცემებით, „2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შშმ ქალები, შშმ კაცებთან შედარებით, ნაკლები ალბათობით ფლობენ შშმ პირის ოფიციალურ სტატუსს. აღწერის მონაცემებით, 184 958 ადამიანიდან, ვინც ერთი ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობა მინც დააფიქსირა, 108 939 (59%) ქალია. თუმცა, აღწერა აჩვენებს, რომ შშმ პირის ოფიციალური სტატუსი აქვს მეტ კაცს (52 170), ვიდრე ქალს (47 943). შეზღუდული შესაძლებლობისა და შშმ პირის ოფიციალური სტატუსის მქონეთა მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, უფრო მეტი ალბათობით აქვთ ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობები, თუმცა არ აქვთ შშმ პირის ოფიციალური სტატუსი“.¹¹¹ ასევე, ამავე მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შშმ ოფიციალური სტატუსის ფლობა ქალებში შედარებით დაბალია, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულების გამო. გოგოებისა და ქალების დაურეგისტრირებლობა შშმ პირად, განპირობებულია ხედვით, რომ სტატუსი პირად ნაკლად აღიქმება. ამას, თავის მხრივ, მიყვავართ შშმ პირთა სტატისტიკაში ქალთა არასათანადო რეპრეზენტაციასთან, რაც ქალებს უზღუდავს წვდომას შესაბამის სერვისებზე.¹¹² შედეგად, შშმ ქალები ფაქტობრივად მოწყვეტილები არიან პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს, ხოლო მათი ინტერესები და საჭიროებები უგულებელყოფილია სტრატეგიებსა თუ სახელმძღვანელო დოკუმენტებში.¹¹³

ჯანდაცვა

საქსტატის მონაცემებით, „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე შშმ პაციენტების რიცხოვნობა და დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა სტატუსისა და სქესის მიხედვით, 2023 წელს შემდეგნაირად ნაწილდება: რიცხოვნობა სულ - 32 062; ქალი - 11 652; კაცი - 20 410. დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა სულ - 81 326; ქალი - 34 568; კაცი - 46 758“.¹¹⁴ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა შშმ ქალებისთვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, იმის გათვალისწინებით კი, რომ ქალებში შშმ სტატუსის ფლობის მაჩვენებელი დაბალია, ისინი ვერ სარგებლობენ მათთვის საჭირო ჯანდაცვის პროგრამებითა და სერვისებით.

განათლება და დასაქმება

ჯანდაცვის სერვისებთან ერთად, პრობლემურია განათლების სფეროში შშმ ქალთა მიმართ ბარიერებიც. გაეროს ანგარიშის თანახმად, „განათლების სხვადასხვა საფეხურის დასრულების მაჩვენებლების მიხედვით, სხვაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე გოგოებს შორის ასაკთან ერთად იზრდება. შშმ გოგონების შემთხვევაში 15.5%-ით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ საწყისი განათლების საფეხური დაასრულონ, ხოლო 20.6%-ით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ საშუალო განათლების ქვედა საფეხური დაასრულონ. ეს სხვაობა 30.9%-მდე იზრდება საშუალო განათლების ზედა საფეხურზე“.¹¹⁵ რაც პირდაპირპროპორციულად აისახება შრომით ბაზარზე ქალთა დასაქმების მაჩვენებელზე, „მაგალითად, შშმ ქალები 19.5%-ით ნაკლები ალბათობით მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, ვიდრე შშმ კაცები. ასევე, შშმ ქალები 22.6%-ით

¹¹¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 2.

¹¹² გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 2.

¹¹³ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 2.

¹¹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე შშმ პაციენტების რიცხოვნობა და დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა სტატუსისა და სქესის მიხედვით, 2023 წ. (ერთეული).

¹¹⁵ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 3.

ნაკლებად მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, ვიდრე ქალები შეზღუდული შესაძლებლობის გარეშე“¹¹⁶ ასეთი მონაცემები კი კომპლექსურ სისტემურ ბარიერებზე მეტყველებს.

ქალთა მიმართ ძალადობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შშმ ქალები ბევრად დაუცველები არიან გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ, მათ შორის მომვლელის, ოჯახის წევრების მხრიდან. რეგიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე, პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში შშმ ქალთა ინტერესების დასაცავად, ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩართული უნდა იყოს შშმ ქალთა სპეციფიკური პროგრამები, რათა მათ შეძლონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან წევრებად ინტეგრაცია. ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მუდმივ რეჟიმში საჭიროებების დადგენის პროცესის მართვა და მათზე რეაგირება. მუშაობას საჭიროებს „2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის და საქართველოს შშმ პირთა კანონის მე-6-ე მუხლის (შშმ ქალები) პოპულარიზაციისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობის პროცესები“¹¹⁷

ინკლუზიური გარემოს შექმნა

ადეკვატური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს სისტემური ხედვა და იმუშაოს სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე.¹¹⁸ ინკლუზიური გარემოს მიღწევა შესაძლებელია ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებით, საზოგადოებრივი სივრცეების შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტირებით, ამასთანავე, ადაპტირებული მეთოდებით სახელმწიფო სერვისების გაცემის უზრუნველყოფით, მაგალითად, ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურების გაუმჯობესებით.¹¹⁹

არაფორმალურ სექტორში დასაქმებული (გარემოვაჭრე) ქალები

დღეს, საქართველოში, არაფორმალურ დასაქმებაში, გარევაჭრობის სექტორში ჩართული ქალები, ისეთი გამოწვევის წინაშე დგანან, როგორებიცაა ჯანმრთელობის რისკები, სოციალური ბენეფიტების ნაკლები ხელმისაწვდომობა, არასტაბილური შემოსავალი, სამსახურებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესების ნაკლები პერსპექტივა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2018 წლის კვლევაში - „ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში“, მოყვანილი ინფორმაციის თანახმად, „საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 23% არაფორმალურ დასაქმებაშია ჩართული. ეს დასაქმებულია 45%-ს შეადგენს. ქალებისა და კაცების არაფორმალურ დასაქმებაში ჩართულობის ალბათობა თანაბარია. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დასაქმებული ქალების, ისევე, როგორც კაცების 45% არაფორმალურ სექტორში საქმიანობს. სოფელში მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტადაა ჩართული არაფორმალურ საქმიანობაში, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლები. თბილისის მოსახლეობა კი, სხვა ქალაქებში მცხოვრებ

¹¹⁶ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. გვ. 4.

¹¹⁷ ქალები საერთო მომავლისთვის (WECF). 2022. პოლიტიკის დოკუმენტი – შშმ ქალებისა და გოგონების გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის. გვ. 8.

¹¹⁸ ქალები საერთო მომავლისთვის (WECF). 2022. პოლიტიკის დოკუმენტი – შშმ ქალებისა და გოგონების გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის. გვ. 15.

¹¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. გვ. 5.

მოსახლეობასთან შედარებით, ოდნავ ნაკლებად არის არაფორმალურ სექტორში წარმოდგენილი“.¹²⁰

საქსტატზე დაყრდნობით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევის - „არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა“ - მიხედვით, 2020 წლის მონაცემებით, „არასასოფლო-სამეურნეო სექტორში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი სამუშაო ძალაში 31.7%-ია“.¹²¹ ამასთანავე, 2020 წლის მდგომარეობით, „საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 201 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 30,3% (61 ერთეული) თბილისშია. ხოლო რაც შეეხება გარემოვაჭრეთა რაოდენობას, საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 53 900 სავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ დღეში 37 800 ადამიანი ვაჭრობს“.¹²²

შრომითი პირობები

სიცივე, წვიმა, ქარი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი სანიტარიული ადგილები, სისუფთავის ნაკლებობა - გარემოვაჭრე ქალები ყოველდღიურ რეჟიმში აწყდებიან ამ გამოწვევებს. რთული სამუშაო პირობები უშუალოდ აისახება ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევის თანახმად, ბაზრის ტერიტორიაზე გასაყიდად დაწესებული საიჯარო გადასახადი არ აკისრებს ბაზრის ადმინისტრაციას სათანადო პასუხისმგებლობას უზრუნველყოს უსაფრთხო და ღირსეული შრომითი პირობები.¹²³ ასეთ გარემოში, გარემოვაჭრე ქალები თავიანთი ოჯახებისთვის დილიდან საღამომდე შრომობენ დაბალი და არასტაბილური შემოსავლისთვის, რასაც თან ახლავს თვითრწმენის ნაკლებობა და ცხოვრებით კმაყოფილების შედარებით დაბალი დონე.¹²⁴

ჯანდაცვა

გარევაჭრობაში ჩართული ქალები განსაკუთრებულ ყურადღებასა და ჯანდაცვის შესაბამის სერვისებთან წვდომას საჭიროებენ, რადგან მათ დიდი ხნის განმავლობაში უწევთ ფეხზე დგომა, მათ შორის სიცივეშიც, რაც ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი რისკებით სრულდება.¹²⁵ ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ წლების განმავლობაში სექტორში დაგროვილია პრობლემები, რომლებიც აისახება დასაქმებული ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, საჭიროებს სათანადო რეაგირებასა და პრობლემურ საკითხთა უწყვეტ რეჟიმში გამოვლენას.¹²⁶

სოციალური სერვისები

ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს თან სდევს სოციალური უსაფრთხოების სერვისებზე ნაკლები წვდომა. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევის თანახმად, დღიურ გამომუშავებაზე დამოკიდებულება, არასტაბილური შემოსავალი და

¹²⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2018. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. გვ. 30.

¹²¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 25.

¹²² სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 106-107.

¹²³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 107.

¹²⁴ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2018. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. გვ. 9.

¹²⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. გარემოვაჭრე ქალები და პანდემია: ბრძოლა ყოველდღიური საჭიროებებისთვის. გვ. 4-5.

¹²⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. გარემოვაჭრე ქალები და პანდემია: ბრძოლა ყოველდღიური საჭიროებებისთვის. გვ. 9.

ფინანსური დანაზოგის გაკეთების ნაკლები შესაძლებლობა, თავის მხრივ, მოითხოვს დღის წესრიგში უმუშევრობის დაზღვევისა და უმუშევრობის შემწეობის საკითხების შემოტანას. საქართველოს მდგომარეობა განსხვავდება დასავლური ქვეყნების განვითარებული ეკონომიკებისგან, სადაც მოსახლეობას აქვს მსგავსი ბენეფიტებით სარგებლობის საშუალება. გარემოვაჭრე ქალების მოწყვლადი მდგომარეობა კარგად გამოჩნდა კოვიდ-19 პანდემიის დროს, როდესაც პრობლემური გახდა სახელმწიფოს მიერ გაცემული უმუშევრობის კომპენსაციის მიღების საკითხი, რადგანაც არ არსებობს არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა გამოვლენის სათანადო მექანიზმები.¹²⁷

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, სხვა სოციალურ სერვისებთან ერთად, მჭიდროდ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასა და ფინანსური სარგებლის მიღებასთან. არანაკლებ პრობლემურია არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალებისთვის ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შეუძლებლობა, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების არქონა. გარემოვაჭრე ქალები მოწყვეტილები არიან საპენსიო სქემასაც, რაც, რასაკვირველია, მათ სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის მიღმა ტოვებს.¹²⁸

პროფესიული განვითარება

პროფესიული საქმიანობისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ ქალებს ჰქონდეთ გადამზადებისა და ახალი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გადამზადების სახელმწიფო პროგრამები მოსახლეობას სთვავს პროფესიათა ფართო არჩევანს, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, მუშაობის პროცესში, ფიზიკურ რეჟიმში ჩაერთონ გადამზადების კურსებში, რადგან პარალელურად დღიურ სამუშაოს ვერ მოწყდებიან. შესაბამისად, საჭიროა მოქნილი ონლაინ მექანიზმი, რაც ადამიანს მისცემს ახალი პროფესიის დაუფლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი დასაქმების საშუალებას.¹²⁹

შეჯამება

ქალები, მრავალფეროვანი ჯგუფია და მათი საჭიროებებიც კიდევ უფრო მრავალფეროვანია. ისინი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობასა და საარჩევნო სიებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უმეტესობას შეადგენენ. რეალური ცვლილებებისთვის, ქალთა ცალკეული ჯგუფების ცხოვრებისეული გამოცდილებები და ის გამოწვევები, რომლებსაც ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, სათანადოდ უნდა იყოს აღქმული და დანახული.

განურჩევლად პოლიტიკური ღირებულებებისა და შეხედულებებისა, წინამდებარე დოკუმენტი მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს პოლიტიკური პარტიების ყურადღების მიპყრობას საზოგადოებისთვის ზოგჯერ უხილავ და ცალკეული ჯგუფებისთვის პრიორიტეტულ თემებზე, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია საარჩევნო პროგრამებისადმი არსებული მოლოდინების გასამართლებლად. ჩამოთვლილი პრობლემები დიდი სოციალურ-ეკონომიკური სურათის მცირე ნაწილია, თუმცა აერთიანებს იმ მწვავე საკითხებს, რომელთა წინაშეც დგანან

¹²⁷ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 28.

¹²⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 108.

¹²⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 29.

დღეს ქალები, საკითხებს, რომელთა მოგვარება პრაქტიკული შედეგების მომტანი იქნება და მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქებს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ყოველდღიური, მინისტრიმული პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს და სათანადო დრო დაეთმოს მათ მოგვარებაზე მსჯელობას.

ქალების ყველა მოთხოვნა ყოველთვის პოლიტიკურია, რადგან ქალები პატრიარქატის მიერ შექმნილ, ისედაც უთანასწორო გარემოში განაგრძობენ ბრძოლას თანასწორი შესაძლებლობის მისაღწევად და სამართლიანობის აღსადგენად. ცვლილებები კი, ხშირ შემთხვევაში, ითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, და პოლიტიკური გადაწყვეტილებების არსებით ქმედებებთან ერთად - სათანადო ნაბიჯებით დაგეგმვას. რეალური ცვლილებების დაგეგმვა პოლიტიკოსთა ხელშია, ქალთა ნდობის მოპოვება, პოლიტიკოსთა ჩართულობას გულისხმობს. ქალთა ხმები, პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო დაპირებებით განისაზღვრება და მათი მხარდაჭერის საზომიც პოლიტიკოსთა გაკეთებული საქმეები იქნება.

ქალთა საჭიროებები და ქალთა წუხილები, წლებია, ელის რეალურ ნაბიჯებს. ქალთა საკითხებზე მუშაობა კი, ამასთანავე გულისხმობს შესაბამისი სახელმწიფო მექანიზმების დანერგვას, პირველ რიგში კი, ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფ სისტემას ყველა დონეზე და ყველა საჯარო სტრუქტურაში. თანაბრად წარმოდგენილი ინსტიტუტები თანასწორობისაკენ გზის გამკვალავი პოლიტიკის საფუძველიცაა. ქალთა მოთხოვნების შესრულება სახელმწიფოებრივ დონეზე სისტემური მიდგომის დანერგვას ნიშნავს, რომელიც გენდერულ ანალიზსა და ხედვებს სათანადოდ შემოიტანს შემუშავებულ პოლიტიკებში, სტრატეგიებსა თუ გეგმებში. ქალებისთვის უკეთესი მომავლის შექმნა რესურსების თანასწორ განაწილებას უკავშირდება, როდესაც პოლიტიკის განსაზღვრისა და დაგეგმვის ნებისმიერი პროცესი იმართება გენდერული ბიუჯეტირების კომპონენტით, რაც დააკმაყოფილებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს.

გენდერული წარმომადგენლობა, გენდერული ანალიზი და გენდერული ბიუჯეტირება ის სისტემური ბერკეტებია, რომლებიც საშუალებას მისცემს პოლიტიკოსებს, საჯარო მოხელეებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს დაინახონ ახალგაზრდა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლგბტქი თემის წარმომადგენელი, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, ემიგრანტი, კონფლიქტით დაზარალებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არაფორმალურ სექტორში დასაქმებული (გარემოვაჭრე) ქალების საჭიროებები, შეისმინონ მათი ხმები და გაითვალისწინონ მათი წუხილები.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2023. ინტერპარტიული მანიფესტი - ქალი ამომრჩევლის მოლოდინები და ქალი პოლიტიკოსების გამოწვევები: როგორ პასუხობენ პარტიები დაკვეთას? <https://gip.ge/wp-content/uploads/2023/11/Challenges-faced-by-women-voters-and-politicians-geo.pdf>

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). 2020. ახალგაზრდული მანიფესტი.

<https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-GEOYOUTH2020.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2014/Women%20Residing%20in%20High%20Mountainous%20Regions_Geo.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2014/Ethnic%20Minority%20Women_Geo.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2014. დენილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები.

https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2014/IDP%20and%20Conflict-Affected%20Women_Geo.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2021. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/women%20with%20disabilities%20brief%20Geo.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2018. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში.

<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/Womens%20Economic%20Inactivity%20and%20Inf%20Employment%20Georgiageo.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა საქართველოში. მოკლე მიმოხილვა. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Unpaid-Care-Work%20V2%20geo.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში 2020-2021. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-12/GTUS%20Report%20GEO%20WEB%20%281%29.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2022. ქალები საქართველოს სოფლის ეკონომიკაში. მოკლე მიმოხილვა. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Women%20in%20the%20rural%20economy%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2024. ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-03/geo_web_2.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (Unwomen). 2019. საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-02/ABL%20Needs%20Assessment%20GEO%202019%20Final.pdf>

ჩაჩავა, მ. 2020. საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების აუნაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა. <https://feminism-boell.org/ka/taxonomy/term/1867>

ჩაჩავა, მ. და ზუბაშვილი, ნ. 2023. ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა: საჭიროებების კვლევა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის კონტექსტში. https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2023-11/mw_geo_web3.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები. <https://socialjustice.org.ge/ka/products/gamqofi-khazebis-mimdebared-mtskhovrebi-kalebis-gamotsvevi-da-sachiroebebi>

შალვაშვილი, მ. 2021. საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალმრიანი აღწერა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

<https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83>

https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90_1639718492.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. გარემოვაჭრე ქალები და პანდემია: ბრძოლა ყოველდღიური საჭიროებებისთვის. https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90_161518214_0.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Shroma_170x240_GEO_WEB_1642771763.pdf

ჯალაღონია, ლ. 2020. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%91%E1%83%A2%E1%83%A5%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_1612128809.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2023. მოვითხოვთ სამშობიარო განყოფილების გახნას ხულოს მუნიციპალიტეტში. <https://socialjustice.org.ge/ka/products/movitkhovt-samshobiarno-ganqofilebis-gakhnas-khulos-munitsipalitetshi>, ბოლოს ნახვა: 19.07.2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. ვენეციის კომისიის დასკვნის მიმოხილვა ქართული ოცნების ჰომოფობიურ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით. https://socialjustice.org.ge/ka/products/venetsiis-komisiis-daskvnis-mimokhilva-kartuli-otsnebis-homofobiur-sakanonmdeblo-initsiavastan-dakavshirebit?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAR0XzXU2SH_NTsX3LyqundCjd5z_YL_e8F3kKgKEnxfHjEP18NS1qjwRAo_aem_8S9vaheEltHWZSKePT1BMA, ბოლოს ნახვა: 19.07.2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ - ჰომოფობიური საკანონმდებლო ინიციატივების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/khelisuflebatanastorobisa-da-gamokhatvis-tavisuflebis-tsinaaghddeg-homofobiuri-sakanonmdeblo-initsiativebis-vrtseli-samartlebrivi-analizi>

კვინიკაძე, გ. 2024. ბავშვთა/ადრეული ქორწინება საქართველოში. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. <https://socialjustice.org.ge/ka/products/bavshvta-adreuli-kortsineba-sakartveloshi>, ბოლოს ნახვა 20.07.2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია. <https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-ekskluzia>

ჯალაღონია, ლ. 2022. ლგბტქ თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში. თანასწორობის მოძრაობა (Equality). https://equality.ge/wp-content/uploads/2022/07/LGBT_GEO.pdf

გოჩიაშვილი, ნ. 2022. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022032319395428522.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. 2024. სახალხო დამცველის განცხადება გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით. <https://www.ombudsman.ge/geo/siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-genderuli-kvotirebis-gaukmebis-shesakheb-initsiirebul-sakanonmdeblo-tsvlilebastan-dakavshirebit>

საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024072316273797124.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024072316230683824.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები. სპეციალური ანგარიში. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022122716265251568.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf>

ქალები საერთო მომავლისთვის (WECF). 2022. პოლიტიკის დოკუმენტი – შშმ ქალებისა და გოგონების გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის. <https://www.wecf.ge/portfolio/%E1%83%9e%E1%83%9d%E1%83%9a%E1%83%98%E1%83%a2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9a1-%E1%83%93%E1%83%9d%E1%83%99%E1%83%a3%E1%83%9b%E1%83%94%E1%83%9c%E1%83%a2%E1%83%98-%E1%83%a8%E1%83%a8%E1%83%9b/>

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG). 2023. წინარწმენიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტკი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. ნაწ. 2. <https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG-From-Projudice-to-Equality-2022.pdf>

ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Fes). 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები: მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf>

ჰაინრიხ ბილოს ფონდი. 2020. „იკითხე პოლიტიკა“ ვინ არის ქალი ამომრჩეველი? <https://feminism-boell.org/ka/2020/11/19/vin-aris-kali-amomrcheveli>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. ქალი და კაცი საქართველოში. https://www.geostat.ge/media/58118/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98_2023.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე შშმ პაციენტების რიცხოვნობა და დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა სტატუსისა და სქესის მიხედვით, 2023 წ. (ერთეული). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქალაქ-სოფლის მიხედვით (მილიონი ლარი). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2023. სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინი კოეფიციენტები. <https://www.geostat.ge/media/62701/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98---2023.pdf>

კავკასიის ბარომეტრი (Caucasusbarometer). 2023. NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი. <https://caucasusbarometer.org/ge/nm2023ge/BESTPRP/>

კავკასიის ბარომეტრი (Caucasusbarometer). 2024. კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების რეგულარული კვლევა. „გყავთ თუ არა ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს?(%)“. <https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/FAMCLAB/>

ეროვნულ-დეკორატიული ინსტიტუტი (NDI). დეკ. 2023. საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_GGF%20poll_October_2023_Geo_VF.pdf

The International Republic Institute (IRI). Sep-Oct. 2023. Georgian Survey of Public Opinion. <https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september-october-2023/>

OSCE/ODIHR. 11 June 2024. Opinion on Two Organic Laws of Georgia Amending the Election Code and The law on Political Unions oc Citizens in Relation to Gender Quotas https://legislationline.org/sites/default/files/2024-06/2024-06-20%20FINAL%20Urgent%20Opinion_Organic%20Laws%20Abolishing%20Gender%20Quotas_ENGLISH.pdf

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). 2020. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები (I ტური). ამომრჩეველთა ერთიანი სია. https://genderstatistics.cec.gov.ge/ge/gender?tour_id=16&voters_list_category_ids%5B%5D=1

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). 2020. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები (II ტური). ამომრჩეველთა ერთიანი სია. https://genderstatistics.cec.gov.ge/ge/gender?tour_id=19&voters_list_category_ids%5B%5D=1

ახალგაზრდობის სააგენტო. 2020. ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა. https://youthagency.gov.ge/eedradse/2021/02/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_2020.pdf

ქალთა საინფორმაციო ცენტრი. 2022. გენდერული სტერეოტიპებისა და მავნე წეს-ჩვეულებების კვლევა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ზუგდიდი, ქედა, ხარაგაული, ხაშური). <http://wicge.org/uploads/docs/60722531c6530c54b280e57051baa529.pdf>

